ახალი ხარაგაული

307 (34) 21 დეკემბერი, 2015 წ

ხარაგაული ათ საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა

კონფერენციაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა – საუკეთესო პრაქტიკა 2015", რომელიც 12 დეკემბერს „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა, სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული 10 საუკეთესო პრაქტიკის მქონე თვითმმართველი ორგანო დაჯილდოეს. კონფერენციაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა : „პრაქტიკა – პოლიეთილენი–დიოქსინ–ფურანების წარმოშობის წყარო და მასთან ბრძოლა საზოგადოების მხარდაჭერით." აღნიშნული პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის" ინიციატივით განხორციელდა (პროექტის ავტორი ხათუნა მანჯავიძე). ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და მისი ხელმძღვანელი კობა ლურსმანაშვილი პროექტის თანადაფინანსებით, აღნიშნული პრაქტიკის მხარდამჭერები გახდნენ. კონფერენციაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა – საუკეთესო პრაქტიკა 2015" საქართველოს მასშტაბით ის 9 მუნიციპალიტეტი დაჯილდოვდა, რომელთაც სათანადო ხედვა აღმოაჩნდათ და თანადაფინანსებით, თავიანთ მუნიციპალიტეტებში მხარი დაუჭირეს ინოვაციური პროექტების განხორციელებას და ამით პროექტის წარმატებით განხორცილებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

ადგილობრივ თვითმმართველობაში საუკეთესო პრაქტიკის თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებისთვის დაჯილდოვდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი.

კონფერენციაზე პრემიერ–მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ გატარებული რეფორმის შედეგად ადგილობრივ თვითმმართველობებს დღეს

უკვე აქვთ ყველანაირი ბერკეტი, რომ დამოუკიდებლად განახორციელონ პროექტები, რაც დემოკრატიის დამკვიდრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენ ვართ ერთადერთი ხელისუფლება, რომელმაც გაბედა, შეეცვალა სისტემა და წასულიყო დეცენტრალიზაციის გზით," - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

კონფერენციას მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, გუბერნატორები, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების გამგებლები და მერები ესწრებოდნენ. კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა იანოშ ჰერმანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა გამოკვეთილი ლიდერია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გატარებაში.

„პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის, რეგიონებთან ურთიერთობების დეპარტამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციის ინიციატივით მომზადდა ახალი ფორმატი, რომლის

ფარგლებშიც ყოველწლიურად დაინერგა საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტის გამორჩევა და დაჯილდოება. პირველი ასეთი შეხვედრა 12 დეკემბერს „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა. წარმოდგენილი იყო ცხრა მუნიციპალიტეტიდან 10 საუკეთესო პრაქტიკა. საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტი სპეციალურად შერჩეულმა კომისიამ გამოარჩია. ძალიან სასიამოვნოა და საამაყოა, რომ ხარაგაული საუკეთესოთა შორის აღმოჩნდა. უშუალოდ ხარაგაულის პრაქტიკას ყურადღება მისი აქტუალურობიდან გამომდინარე მიექცა, იმავდროულად მრავალმხრივი იყო მუნიციპალიტეტის ჩართულობა ამ პროექტის განხორციელებაში. - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი სოციალურ ქსელში არასწორად გავრცელებულ ინფორმაციასაც გამოეხმაურა და განმარტა: მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, ეს იყო საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტის წარმოჩინება და არა პროექტების ავტორებისა. სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა მუნიციპალიტეტის წვლილი ამ პროექტის განხორციელებაში უმნიშვნელოა. რაც სიმართლეს არ შეესაბამება. როდესაც ქალბატონმა ხათუნამ წარმოადგინა აღნიშნული პროექტი იდეის დონეზე და იგი გეგმავდა გაეროს მცირე გრანტების კონკურსში მონაწილეობას, მოთხოვნა იყო, რომ ჩართულობა ყოფილიყო მუნიციპალურ დონეზე, დაფინასების კუთხით. ცხადია, მე მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტი პროექტის განხორციელებაში გარკვეულ თანხებს დახარჯავდა და ასეც მოხდა. „ხარაგაულდასუფთავების" სამსახური უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში განთავსებული ბუნკერებიდან პოლიეთილენის ბოთლების ტრანსპორტირებას".

კონფერენციაზე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ნოდარ ჯავახიშვილმა, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტები, რომლებიც ინოვაციური ხასიათის პროექტების მხარდამჭერები არიან, უნდა წახალისდნენ და კონკრეტული ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად დამატებითი თანხები მიიღონ. შეხვედრაზე ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციის პრეზიდენტმა ნოდარ ჯიქიამ აღნიშნა, რომ საუკეთესო მუნიციპალიტეტებისათვის ახალი იდეების მოსაზიდად და დასანერგად საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთობლივ ვიზიტს დაგეგმავენ.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი გაიხსნა

15 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების პირველი ცენტრი ამოქმედდა. ინოვაციების ცენტრი ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა და მოსახლეობას მრავალპროფილიან მომსახურებას გაუწევს. ახალი დაწესებულება იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ, ვიცეგუბერნატორმა იოსებ ხახალეიშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავვჯდომარემ ირაკლი ქაშიბაძემ და გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

საქართველოში მსგავსი ტიპის 500 ცენტრის გახსნა იგეგმება.

როგორც ინოვაციის სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ადგილობრივებს ექნებთ საშუალება ცენტრი მარტო სამუშაოდ კი არა, არამედ შეხვედრებისა და დისკუსიების გასამართავადაც გამოიყენონ. მნიშვნელოვანია წვდომა ისეთ ტექნიკასთან, როგორიც 3D პრინტერია. ყველა მომხმარებელს კონსულტაციას გადამზადებული ტრენერები გაუწევენ. მათ შეეძლებათ, სწორად ჩამოაყალიბონ იდეა, შექმნან ახალი ინოვაციური პროექტები და განავითარონ ეს სფერო ქვეყანაში. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ ინოვაციების ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობისთვის 38 000 ლარი გამოყო, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი საზოგადოებრივი ცენტრის სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა".

„ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ხარაგაულში, გაიხსნა ინოვაციების ცენტრი. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი რეგიონალური ცენტრია საქართველოს მასშტაბით. ინოვაციების ცენტრი ხელს შეუწყობს ბავშვებში კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, ხოლო მეწარმეებისთვის, ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო წინაპირობა იქნება. ხარაგაული ნამდვილად ვითარდება და ეს მისასალმებელია" -აღნიშნა შეხვედრაზე იმერეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი ქაშიბაძის თქმით, „ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში ხარაგაულში, ბიბლიოთეკის ბაზაზე, შეიქმნა საპილოტე პროექტი, პირველი ინოვაციების ცენტრი. ეს იქნება ახალ ტექნოლოგიებთან გაცნობის და საერთაშორისო მასშტაბით დისტანციური სწავლების შესანიშნავი შესაძლებლობა.ასევე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს პროცესს,

გაგრძელება ▶ 2 გვ.

რესპუბლიკელებმა 2016 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს

18 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. როგორც მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან 145 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა 12–13 ნოემბერს მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად დაიხარჯება. საბიუჯეტო ცვლილება ა(ა)იპებს დამატებით სუბსიდირებასაც ეხება. 107 000 ლარი ხარაგაულში ა(ა)იპებზე შემდეგნაირად გადანაწილდება.

- ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება" - 35 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - 11 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009" – 50 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას - 5 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ „კეთილმოწყობას" - 6 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" ფარგლებში თანადაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს 2 200 ლარი გამოეყო, მათ შორის, სოფელ ბორითის სპორტული მოედნის სარეაბილიტაციოდ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებზე 300 ლარი მიიმართა, სოფელ ბაზალეთის წისქვილის ძრავის შესაძენად - 500 ლარი, ხოლო სოფელ სარგვეშის წისქვილისათვის საჭირო დანადგარის შესაძენად - 1 400 ლარი. 30 ათასი ლარი გამოიყო ასევე ვიდეო თვალის, (რადარის) შესაძენად.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა განმარტა, ახალი ვალდებულებების დასაფარავად, შემცირდა რელიგიის სუბსიდირების ხარჯები 95 000 ლარით და მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციის ხარჯები 44 200 ლარით.

სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების განხილვას დებატები მოჰყვა.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ თანხაზე 44 200 ლარის მოკლებას არ დაეთანხმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი. ის ასევე დაინტერესდა, თუ რატომ უზრდიან „ხარაგაულდასუფთავებას" ბიუჯეტს 35 000 ლარით, ხოლო საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009–ს" 50 000 ლარით. ა(ა)იპ-ების დამატებითი სუბსიდიების საკითხზე გაამახვილა ყურადღება ასევე საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მალრაძემ: „გასაგებია, რომ დეკემბრის თვის ხელფასები გაუცემელია და ხელფასები აუცილებლად უნდა დარიგდეს, მაგრამ იქნებ უფრო დასაბუთებული მოთხოვნები წარმოადგინონ ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებმა. ასევე მინდა, გამოვეხმაურო რელიგიის კუთხით თანხების შემცირებას. პირადად ჩემთვის, რელიგიის მუხლიდან თანხის ამოღება და სხვა მიმართულებით გადანაწილება, მიუღებელია."

როგორც ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე წარმოდგენილი საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილ-

და ა(ა)იპ-იების დაფინანსების საკითხზე. „კომისიამ იმსჯელა და საჭიროდ ჩათვალა მათთვის გათვალისწინებული თანხების გამოყოფა. რაც შეეხება რელიგიის მიმართულებით თანხების შემცირებას, კომისიის წევრები ამას არ დაეთანხმნენ, გარდა ამ ნაწილისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ დადებითი დასკვნა გასცა" - აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

რელიგიის მუხლში არსებულ თანხებთან დაკავშირებით შენიშვნას გამოეხმაურა ხარაგაულის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და განმარტა, რომ მომავალი წლისთვის დაგეგმილია გარკვეული ღონისძიებების გატარება რელიგიის დაფინანსების კუთხით. „წელს, რადგანაც არ იყო რელიგიის კომისიისგან თანხმობა, ჩვენ შესაძლებლობას მოკლებული ვიყავით, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაგვედგა და თანხა გაგვეცა. ტაძრის გადახურვისათვის 45 ათასი ლარია საჭირო, ამაზე უკვე პროექტი გაკეთებულია. აქედან გამომდინარე, მინდა, მოგახსენოთ, რომ ამ ეტაპზე ტაძრის მშენებლობას არაფერი უშლის ხელს. რელიგიის მუხლში არის 10 000 ლარი და სამუშაოების დაწყებისათვის ეს თანხა საკმარისია, ხოლო მომავალ წელს დანარჩენი თანხა გადაირიცხება. რელიგიის საკითხთა საგენტოზე საკითხი რომ განხილულიყო, ამისთვის საჭირო იყო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ახლა გაკეთდა. ფონდის დირექტორი ვერ ახერხებდა წარმოედგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ამ დრომდე. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ფონდს თანხა გადაერიცხებოდა მაშინვე, როგორც კი რელიგიის საკითხთა სააგენტო მოგვცემდა თანხმობას. პრაქტიკულად ჩვენ დღემდე ფონდში ვერ მოვაწესრიგეთ საკითხები სანამ არ გამოვლინდა ეპარქიის კეთილი ნება. ანუ ეპარქია არის თანადამფინანსებელი ეკლესიის ფონდისა და თუ ფონდის ორ დამფუძნებელს შორის არ მოხდებოდა შეთანხმება და არ დაეთანხმებოდა გამგეობის ჩართულობას, ჩვენ ვერ მივიღებდით მონაწილეობას დაფინანსებაში. ფონდში მოხდა რეორგანიზაცია და ჩვენ მივიღეთ ახალი ფორმატი, რომლის მიხედვითაც ეპარქია მზად არის, მარგვეთისა და უბისის განვითარების ფონდით აიღოს ხელში ტაძრის მშენებლობა და ამის შემდგომ რელიგიის მუხლში გამოყოფილი თანხები გადაირიცხება ეპარ-

გაგრძელება ▶ 2

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი გაიხსნა

▶1 გვ.

რომელიც დაეხმარება ახალი კომპანიების შექმნას რეგიონში. მათ წარმატებასა და განვითარებას ლოკალურ და საერთაშორისო ბაზაზე“.

კობა ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„ეს არის ინოვაციების ფანჯარა ხარაგაულელებისათვის. ყველას შეუძლია, საკუთარი გამორჩეული ნიჭით იპოვოს შემოსავლებისა და განვითარების გზა. ვფიქრობ, ხარაგაულში ინოვაციების ცენტრი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე გახდება. ალბათ, ხარაგაულიდან ინოვაციების ცენტრით დაიწყება ძალიან სასიკეთო სამომავლო საქმეები. ინოვაციების ცენტრი ხარაგაულის საბიბლიოთეკო ქსელში განთავსდა. ბიბლიოთეკა არის მუნიციპალური ა(ა)იპი, ჩვენ ვაფინანსებთ მას და მისი განვითარებისათვის ვაკეთებთ ყველაფერს. წიგნიერება არის ყველაზე საუკეთესო გზა კაცობრიობის ისტორიაში. ხარაგაული ახალი ინიციატივების გარეშე ნამდვილად ვერ იქნება.“

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის ნიკოლოზ მაჭავარიანის განმარტებით: „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც მიზნად ისახავს შეიქმნას ახალი ტექნოლოგიები, ახალი ინოვაციები. ჩვენ ვიცით შედარებით მცირე ზომის ქვეყნები, რომლებმაც ახალი ტექნოლოგიებით ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგეს მსოფლიო გლობალიზაციაში. ასევე მიზნად დაისახა ეკონომიკის სამინისტრომ, რომ საქართველოშიც შექმნილიყო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო იმისათვის, რომ ტექნიკურად უფრო სრულფასოვანი და წარმატებული გახდეს ჩვენი ქვეყანა. ყველაზე მთავარია, რომ ხარაგაული პირველია, სადაც ტექნოლოგიების სააგენტომ ინოვაციების ცენტრი შექმნა. ყველა ახალგაზრდას ექნება იმის საშუალება, შეისწავლოს ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიები, დაეუფლოს ახალ ცოდნას, რაც მათ საშუალებას მისცემს, მომავალში უფრო განვითარდნენ.“

თამარ მაღრაძე

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორად ნოდარ სხილაძე დაინიშნა

14 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, კეთილმოწყობის თანამშრომლებს ახალი დირექტორი წარუდგინა. თემურ ფურცელაძე, რომელმაც ამ თანამდებობაზე სულ 7 დღე იმუშავა დირექტორის რანგში, ისევ ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ დაუბრუნდა.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლების მოთხოვნით, სამსახურის დირექტორად ნოდარ სხილაძე დაინიშნა. კეთილმოწყობის სამსახურში მიმდინარე მოვლენებში ჩართულია საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირი. მათი შრომითი უფლებების დაცვის მიზნით გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომელსაც ხელს მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორი ნოდარ სხილაძე და საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი, ნუგზარ ჭინჭარაული, აწერენ. მემორანდუმის თანახმად, „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლებს 7-დან - 14 დეკემბრის ჩათვლით შრომითი ანაზღაურება არ შეეზღუდებათ და 2016 წლის 1 იანვრიდან არანაკლებ 6 თვის გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულებები გაუფორმდებათ. 7 დღიანი საპროტესტო აქციის შემდეგ ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ სამსახური მუშაობას შეუდგა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი: „თემურ ფურცელაძე ძალიან კარგი დირექტორი და გამორჩეული ადამიანია. ის დაუბრუნდა ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“, ხოლო ნოდარ სხილაძე, რომელიც მოწონებულია კოლექტივის მიერ, გააგრძელებს მუშაობას ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე. „კეთილმოწყობის“ სამსახურის ყველა თანამშომელს შრომითი უფლებები გარანტირებული აქვს. ჩვენ, წავედით იმაზე, რომ მათ გაფიცვის დღეებში აუნაზღაურდეთ შესაბამისი ხელფასი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მხრიდან კეთილი ნების გამოვლენაა. თუმცა, როცა ასეთი საკითხები დგება, ცხადია, იმაზეც ვფიქრობთ, რომ შესაძლოა, ამას მოჰყვეს სხვა ადამიანების განაწყენება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ხარაგაულში ბევრი ადამიანია უმუშევარი და მზად არიან იმუშაონ. თუ მათ გაფიცვის რეჟიმში სურთ ყოფნა და ამის გამო უხდიან ხელფასებს, რა თქმა უნდა, ამას გააპროტესტებს ხარაგაულის მოსახლეობა. სწორედაც ის პოლიტიკანები, რომლებიც ასეთ ღონისძიებებს სათავეში უდგანან, უნდა ფიქრობდნენ არა მხოლოდ იმაზე, როგორ გამოიყენონ ეს ადამიანები, არამედ იმ ადამიანების უფლებებზეც, რომლებიც დასაქმებულები არ არიან და ამ პროცესს უყურებენ, როგორც არაკანონიერ მოვლენას და მათთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია“.

რესპუბლიკელებმა 2016 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს

▶1 გვ.

ქიის განვითარების ფონდში და იქიდან სამართლებრივადაც და ფაქტობრივადაც მოწესრიგდება ის საკითხები, რომლებიც ისმება.“

ა(ა)იპების დამატებით სუბსიდიას არ დაეთანხმა დეპუტატი გელა გოლუბიანი და აღნიშნა, „ა(ა)იპ-ებს, როცა წლის დასაწყისში ბიუჯეტზე აქვთ მოთხოვნა, იქ ყველაფერი უნდა იყოს დეტალურად გაწერილი და ყოველ თვეში ცვლილებები არ უნდა გვჭირდებოდეს. როდესაც ვქმნიდით ამდენ ა(ა)იპებს მაშინ უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ მათ შენახვას ვერ შევძლებდით.“

გელა გოლუბიანის განცხადებას მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა უპასუხა: „არც ერთი ა(ა)იპ-ი მე არ შემიქმნია, ამიტომ ამაში ნუ გამრევთ. თქვენ შეგიძლიათ ამ საკითხზე ედავოთ თქვენს მეგობარს და კოლეგას იური ლურსმანაშვილს, რომელიც იყო საკრებულოს წევრი, როცა იქმნებოდა ეს ა(ა)იპ-ები და ვერ შეაკავა ეს ფორმატი. მე დავიწყე რეორგანიზება, რომ ა(ა)იპ-ები შევკვეცო და მხარდაჭერის ნაცვლად, თქვენ წამქეზებლის როლში გამოდიხართ ადამიანებთან. თქვენ რომ აცხადებთ, თითქოს წინააღმდეგი იყავით საშტატო რაოდენობის გაზრდაზე, სად დამესაქმებინა თქვენი ნათესავები, რომ მთხოვდით? არც ერთი ჩემი ოჯახის წევრი არ არის დასაქმებული არსად. სწორედ იმიტომ, რომ თქვენმა დასაქმებულმა ოჯახის წევრებმა აიღონ ხელფასი ა(ა)იპ-ებს ვუზრდით დაფინანსებას. მათ შორის თქვენი შვილი დასაქმებულია ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობაში“ და 6 000 ლარს ვუმატებ მათ იმიტომ, რომ ხელფასები არ ჰყოფნით. ასე რომ, ყველა დაუკვირდით თქვენს საქციელს.“

გელა გოლუბიანის განცხადებას გამოეხმაურა ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი: „ბატონმა გელამ პოლიტიზირებულად აქცია საბიუჯეტო ცვლილებების თემა. როცა თქვენ ამბობთ, რომ ა(ა)იპ „ჩხერიმელაში“ „რაღაცა“ ხდება, უნდა დაასაბუთოთ და მიმართოთ შესაბამის სამსახურებს, გამოიძიონ იქ არსებული სიტუაცია. რაც შეეხება იმას, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით თქვენ სხვა აზრი გქონდათ, შეიძლება გქონდათ, მაგრამ ალტერნატივა არ შემოგთავაზებიათ.“

დებატებში ჩაერთო საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე, რაზეც დეპუტატმა რომან შერგელაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარეს რეგლამენტის დაცვისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს არ უნდა უპასუხოს და გამოსვლები არ უნდა შეაფასოს.

საბოლოოდ, დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილებას კენჭი უყარეს. ცვლილებას მხარი ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლებმა არ დაუჭერეს. ამასთან დაკავშირებით ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ვარლამ(ტატო) თავზარაშვილმა განცხადება გააკეთა და აღნიშნა: „მინდა, დღევანდელი დღისთვის ყველას მოგიხადოთ ბოდიში და ასევე იმ დღისთვის, როცა ჩვენ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევისას კონსულტაციებს გავდიოდით და ამ პოსტზე ქალბატონ ინგა მაღრაძეს დავუჭირეთ მხარი. დღეს უკვე დადასტურდა, რომ იგი ხელისუფლების მიერ არჩეულ კურსს არ მიჰყვება და ოპოზიციაშია. ამიტომ მე გპირდებით, რომ ეს კონკრეტული ფაქტი იქნება ზუსტად იმ პროცედურის საწყისი, რასაც საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი ჰქვია და უახლოეს დღეებში ამ პროცედურის დასაწყებად მივმართავ საკრებულოს აპარატს.“

ამავე საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს 2016 წლის ბიუჯეტი. 2016 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრებმა, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა.

(უფრო ვრცლად აღნიშნული ინფორმაციის შესახებ იხილეთ „ახალი ხარაგაულის“ შემდეგ ნომერში).

მარიანა ბურჯალიანი

თქვენ დიდი სიხარული გვაჩუქეთ, ქალბატონო იზა!

უფლის მადლით გვაქვს „სამყარო უთვალავი ფერითა“. მართლაც რომ ზენაარს მოუხატავს ათასგვარი ფერით უმშვენიერესი სოფელი ხიდარი, მაგრამ სამყაროს ჭეშმარიტი მშვენება მაინც ადამიანია და, მადლობა განგებას, რომ ამ მშვენებითაც არაფერი აკლია სოფელს. შრომისმოყვარე, ალალ-მართალი და სიყვარულის დიდი გრძნობით გულსავსე ადამიანები - აი ამ სოფლის ნამდვილი მშვენება, სიმდიდრე და ბედნიერება.

ხიდარმა უჩვეულო ფურცლები ჩაწერა ჩვენი რაიონის შრომისა და ბრძოლის ისტორიაში. მარტო არსენ ბერაძისა და ზაზა გლუნჩაძის პატრიოტული თავდადება რად ღირს?

ხიდრის მოსახლეობა დიდად კმაყოფილია, რომ აფხაზეთის ომიდან ტრავმებით დაბრუნებული გიორგი ბერაძისა და მის თანამდგომთა ძალისხმევით სოფელში აიგო და მოქმედებს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

წინაპართა სასახელო ტრადიციებზე იზრდება ხიდრის მოსწავლე-ახალგაზრდობა. მათ სულიერ ფორმირებას, პატრიოტული გზებით სვლას ემსახურება სოფლის ოპტიმიზირებული დაწყებითი (მასწავლებელი ცისნარი შველიძე) და საჯარო (დირექტორი ეთერ პაპავა) სკოლები.

ამჯერად იმ დიდ სიხარულზე მინდა გიამბოთ, რომელიც 15 დეკემბერს განიცადეს ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ, მასწავლებლებმა, სოფლის ინტელიგენციამ, როცა მათ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი ეწვია (თეატრის რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ქალბატონი იზა ვეფხვაძე).

***

სკოლის ეზოში შესვლისთანავე იპყრობს თქვენს ყურადღებას მოწესრიგებული ეზო -გარემო, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება სათუთად მოვლილი სკოლის შენობის, საკლასო ოთახების დათვალიერებისას, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრისას.

ყველგან და ყველაფერში ჩანს ნათელი კვალი, დიდი რუდუნებითი შრომა და ძალისხმევა, რასაც იჩენენ: სკოლის უნარიანი ორგანიზატორი, პედაგოგთა დიდ ოჯახში აღზრდილი ქალბატონი ეთერ პაპავა, მომავალი თაობის აღზრდის დიდ მისიაზე ორიენტირებული კოლექტივი, სკოლის თითოეული მუშაკი.

***

ამ დღეს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელის ქალბატონი იზა ვეფხვაძის მიზანი სპექტაკლით ხიდრის მოსწავლე -ახალგაზრდობასთან შეხვედრა იყო. რომ მოსწავლეებს კიდევ ერთხელ მისცემოდათ შესაძლებლობა დიდ მამულიშვილთა ღვაწლის გათავისებისა. წვდომა მათ სულიერ სამყაროში, ვინც ცხოვრების ორომტრიალში არ ივიწყებს თავის ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ქალბატონი იზა ვეფხვაძე როგორც შეუდარებელი, ორიგინალობით გამორჩეული ხელოვანი, დიდი ხანია, გასცდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ფარგლებს და მან სრულიად საქართველოში მოიპოვა აღიარება (და არა მარტო საქართველოში!). ქალბატონ იზას ყველაზე დიდ სიხარულს გასვლითი სპექტაკლებით თავისი მშობელი კუთხის ადამიანებთან, კერძოდ კი, მოსწავლე - ახალგაზრდობასთან შეხვედრა ანიჭებს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ პროექტით შეხვდა ბორის სკოლა-პანსიონის, ბაზალეთის საჯარო სკოლის, ვერტყვიჭალის, ბორითის, კიცხის, ლეღვნისა და ღორეშის ახალგაზრდობას. ღორეშას მეორედაც ეწვია თეატრი და იმერეთის რეგიონის წარჩინებულ უფროსკლასელთათვის გამართა რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები“ ქალბატონ იზას უახლოეს გეგმაში აქვს მარელისის, წყალაფორეთისა და ზვარის ახალგაზრდობასთან შეხვედრა.

***

15 დეკემბერს განუზომელი სიხარული ერგოთ ხიდრის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებსა და სკოლის ინტელიგენციას, როცა სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა წარმოადგინა გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია“.

ბადრი ბერაძე - გამგებლის წარმომადგენელი ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში:

ასეთი სიხარული, ასეთი სულიერი აღმაფრენა, ამ სოფელს ათწლეულის განმავლობაშიც არ მიუღია. არადა, როგორ სჭირდება ჩვენს ახალგაზრდობას ამგვარი ღონისძიება, რომ კიდევ უფრო შეიყვაროს ქართული მწერლობა, ჩვენი სწორუპოვარი ხელოვნება. ლეგენდად დადის ქალბატონ იზა ვეფხვაძის სახელი. მუდამ მაინტერესებდა ან ხარაგაულში ან თბილისში დავსწრებოდი მის სპექტაკლს, მაგრამ დღემდე ეს ოცნებად დამრჩა. დღეს შევხვდი დიდ ნიჭიერებას, რომელმაც მოიცვა მთელი ჩემი არსება.

გმადლობთ, ქალბატონო იზა, სოფელ ხიდარს რომ ასეთი სასიამოვნო დღე აჩუქეთ!

დავით კიკნაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი:

მისასამებელია, რომ იზა ვეფხვაძის შემოქმედება დაფუძნებულია პატრიოტიზმზე, ქართულ სულზე. XXI საუკუნეში საქართველოში ფართო გლობალიზაციის ფონზე პატრიოტთა ღვაწლის წარმოჩენა სასიკეთო ძვრებს ახდენს მოსწავლეთა სულიერ სამყაროში. გოდერძი ჩოხელი იყო ღრმა ფილოსოფიური აზროვნების ტრაგიკული პიროვნება. ვუყურებდი ამ სპექტაკლს და მახარებდა, რომ ხიდრის მოსწავლეები ინტერესით და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს სპექტაკლის ყოველ მომენტს.

დარწმუნებული ვარ, მათ აზროვნებაში გოდერძი ჩოხელი დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც კლასიკოს შემოქმედს ეკუთვნის.

ხაზი მინდა გავუსვა, რომ აღნიშნული პროექტი განხორციელდა ხიდარში, სადაც ცხოვრობენ გამორჩეული ადამიანები, რომლებიც აღზრდილი არიან მშობელი მიწის სიყვარულით.

ზოგადად, ასეთი პროექტები საჭიროა იმისთვის, რომ მოსწავლეთა აღზრდა მოხდეს ქართულ სინამდვილეზე, ქართულ სულიერებაზე.

დღეს ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ახალი საბავშვო ბაღის დათვალიერებისა, რადგან გარკვეული მიზეზების გამო გახსნას ვერ დავესწარი. ბაღი შესანიშნავი თანამშრომლებითაა დაკომპლექტებული. სოფლისთვის საბავშო ბაღს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთია, რომ ის გარკვეულად შეანელებს სოფლიდან ოჯახების მიგრაციას და, მეორე, სკოლისათვის მოამზადებს სათანადო უნარ-ჩვევებს დაუფლებულ ბავშვების კონტინგენტს.

აღვნიშნავ, რომ ხიდრის საჯარო სკოლას, ქალბატონ ეთერ პაპავას სახით, ჰყავს ერთ-ერთი ღვაწლმოსილი და წარმატებული დირექტორი, რომელმაც გაიარა კონკურსი და სამეურვეო საბჭომ ერთხმად აირჩია დირექტორად. ძალზე მნიშვნელოვანია, როცა პიროვნება დიდხანს მუშაობს სკოლაში, პროფესიონალია, აფასებს სკოლა, პედაგოგიური საზოგადოება და მას ირჩევენ ერთხმად. წარმატებას ვუსურვებ ხიდრის საჯარო სკოლას, მის უნარიან კოლექტივს და ხიდრის მთელ საზოგადოებას!

ეთერ პაპავა - ხიდრის საჯარო სკოლის დირექტორი:

დღევანდელი პოზიტიური დღე მნიშვნელოვან თარიღად აღიბეჭდება ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. დილიდანვე არაჩვეულებრივი განწყობა სუფევდა, რადგან სკოლა ელოდებოდა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

ქალბატონი იზა ვეფხვაძის ნიჭიერების შესახებ ბევრი რამ იცოდნენ სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, მაგრამ ის, რაც მათ სცენაზე იხილეს, არასოდეს დაავიწყდებათ; მსახიობის მეხსიერება გასაკვირი არაა, მაგრამ ქალბატონი იზას მეხსიერებამ, არტისტიზმმა და

„ვდებ პირობას, რომ ბაზალეთი უფრო განვითარდება და გაძლიერდება"

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ვარლამ ჭიპაშვილი ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის რანგში შეუდგა მუშაობას. იგი ამავდროულად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეა. რა ცვლილებები განხორციელდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში და რა იგეგმება სამომავლოდ, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, ვარლამ ჭიპაშვილი გვესაუბრება.

-ბატონო ვარლამ, რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში?

-ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩემი მაჟორიტარობის პერიოდში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მოასფალტდა სოფლის ცენტრალური გზა, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან 600 000 ლარით დაფინანსდა, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის" ფარგლებში, გზის მთელ სიგრძეზე მოეწყო გარე განათების სისტემა, ახალგაზრდების მოთხოვნით გაკეთდა სპორტული მოედანი, მოხდა მცირე გამავლობის ხიდ-ბოგირების აშენება და თითქმის ყველა უბანში მოიხრეშა გზები. ვფიქრობ, ეს არის სერიოზული წინსვლა, რაც სოფლის განვითარებას შეუწყობს ხელს. მიხარია, რომ ჩემი დეპუტატობის პერიოდში მოხდა ბაზალეთში სასოფლო ავტობუსის შეძენა, რომლითაც მოსახლეობა უფრო კომფორტულად და შეღავათიან ფასებში გადაადგილდება. სოფელში არ ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა და ახლა ეს პრობლემაც მოგვარებულია. მომავალ წელს ბაზალეთიდან ღორეშის მიმართულებით იგეგმება გზის მობეტონება. ამაზე აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება ცენტრალურ ხელისუფლებასთან, იმერეთის სამხარეო გუბერნიასთან და მუნიციპალიტეტის გამგეობასთან. მოსაწესრიგებელია წყლის სისტემა სხვადასხვა უბანში და მომავალი წლისათვის ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება. მოსახლეობას წყლის სისტემის მოსაწყობად საჭირო მასალებით მოვამარაგებთ. სამწუხაროდ, ზოგიერთ უბანში არ გვაქვს წყლის რესურსი და პრობლემა ბოლომდე ვერ გადაიჭრება. ვფიქრობ, ცენტრალურ ქუჩაზე აუცილებლად უნდა მოხდეს ნაგვის ურნების დადგმა. ასევე რამდენიმე უბანში დაგეგმილია გარე განათების ქსელის მოწყობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაზალეთის გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და მომავალი წლიდან მოხდება სოფლის გაზიფიცირება.

-რა არის ის მთავარი პრობლემა, რაც ბაზალეთის მოსახლეობას აწუხებს?

- ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლების ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. აქ ძირითადი საარსებო წყარო სოციალური დახმარებაა. ამ ბოლო დროს კი რამდენიმე ოჯახს დახმარებაც შეუწყდა. ვფიქრობ, სოციალური სტატუსის მინიჭების პროგრამაში ცვლილებები უნდა მოხდეს. შესაძლოა, ინდივიდუალურ რეჟიმში მიკერძოებას აქვს ადგილი. ეს პრობლემები აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

ადგილობრივ ბიუჯეტში გვაქვს სხვადასხვა სოციალური პაკეტი, რომლითაც ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ამ მიმართულებით ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არაერთმა ბენეფიციარმა ისარგებლა. მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსებული იყო: მკურნალობის, მედიკამენტების, ოპერაციების ხარჯები. ასევე გამონაკლის შემთხვევებში გაწეულ იქნა ერთჯერადი ფინანსური დახმარებები. თითქმის არც ერთი განცხადება არ რჩება დაუკმაყოფილებელი. დახმარება გაეწიათ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს. აქტიურად მიმდინარეობს მრავალშვილიანთა და ლტოლვილთა დახმარება. ამ მიმართულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური ნამდვილად კარგად მუშაობს. ჩვენ შეიძლება ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით გავაძლიეროთ სოფელი, მაგრამ, დამერწმუნეთ, ადამიანებს ინფრასტრუქტურაზე მეტად სოციალური ფონი აინტერესებთ. ადამიანი, რომელიც ფიქრობს, ოჯახი როგორ გამოკვებოს, ის საერთო საქმეზე ვეღარ იფიქრებს. ვიმედოვნებ, შევძლებთ ადამიანების, როგორც პირადი, ასევე საერთო პრობლემების მოგვარებას. გამოვხატავ უდიდეს მხარდაჭერას ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისადმი. იმ თანადგომისათვის, რომელსაც ჩემდამი იჩენენ. თითოეული იმ ურთიერთობისათვის, რომელიც ჩვენ შორის არსებობს. ვდებ პირობას, რომ ბაზალეთი უფრო განვითარდება და გაძლიერდება.

-რა მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სოფელში და ასევე, რას აკეთებთ მოსახლეობის კულტურულ-საგანამანათლებლო განვითარების მხრივ?

- ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩემი ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტული მიმართულებით. სოფლის ბიბლიოთეკაში განვახორციელეთ პროექტი „შეხვედრა მკითხველთან", სადაც ყველაზე აქტიური მკითხველი სიმბოლურად დავაჯილდოეთ კიდეც. 9 აპრილს მოვაწყეთ ამ დღეს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ადმინისტრაციული ერთეულის მასშტაბით მოვაწყეთ ღვინის ფესტივალი და გამოვავლინეთ საუკეთესო მეღვინე. სოფელში ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი, როგორც მოსწავლეებს, ასევე უფროს თაობას შორის. ჩემი ინიციატივით მოეწყო გამწვანებისა და დასუფთავების აქცია, ხოლო აქციაში „დავეხმაროთ თბილისში მომხდარი 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას" ბაზალეთმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველაზე მაღალი აქტივობა აჩვენა. მეამაყება და მეადვილება ბაზალეთელ ხალხთან ურთიერთობა. მოსახლეობის ჩართულობით ვაკეთებ თითქმის ყველა საქმეს. როგორც მაჟორიტარს, სოფელში შექმნილი მაქვს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვადასხვა უბნის წარმომადგენელები შედიან. მათთან ხშირად გავდივარ კონსულტაციებს. ეს მაძლევს ძალას და სტიმულს ერთად ვაკეთოთ საერთო საქმეები. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ჩართულობა. ამ მიმართულებით პრობლემები არ გვაქვს.

მადლობას ვუხდი ყველას, თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ბაზალეთელს, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინც წვლილი შეიტანა სასიკეთო საქმეში, რომელიც განხორციელდა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში. მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, იმ გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, რომელსაც იჩენს მოსახლეობისა და მათი პრობლემების მიმართ.

-როგორი მომზადებული ხვდება ბაზალეთის მოსახლეობა ზამთარს?

-ბუნებრივია, მუნიციპალიტეტმა ზამთრისთვის მზადება დაიწყო. მუნიციპალიტეტს აქვს შპს „ხარაგაული 2011", რომელსაც აქვს ტექნიკა და დიდთოვლიანობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გაწმენდას უზრუნველყოფს. ვდებ პირობას, რომ ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას ზამთარში უგზოობის პრობლემა არ შეექმნება, ისე, როგორც არ შექმნია წინა წლებში, ჩემი მოღვაწეობის პერიოდში. რაც შეეხება საშეშე მერქნის მოპოვებას, ამ მიმართულებით პრობლემა ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა ბოლო პერიოდში, შემოდგომის მიწურულისკენ, ნებართვები უკვე აღარ იცემოდა, რადგან ხარაგაულის სატყეო უბნის განცხადებით ტყე-კაფებში საშეშე მერქნის რაოდენობა ამოიწურა. 2016 წელს, ვფიქრობ, ამ მიმართულებით პრობლემა აღარ უნდა შეგვექმნას. აღნიშნული პრაქტიკიდან გამომდინარე, მსგავსი პრობლემის წინაშე აღარ უნდა დავდგეთ და ამაზე შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იმუშაონ. ასე რომ, ბაზალეთის მოსახლეობა ზამთარს მომზადებული ხვდება.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, თითოეულ ხარაგაულელს მივულოცო დამდეგი შობა - ახალი წელი. ვუსურვო ოჯახური ბედნიერება, უფლის მფარველობა, ხვავი და ბარაქა არ მოჰკლებოდეთ. ჰქონდეთ წარმატებები პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იცხოვრონ ძლიერი ოჯახებით ძლიერ სახელმწიფოში. გასულ წელთან შედარებით 2016 წელი მათთვის კიდევ უფრო წარმატებული ყოფილიყოს.

თამარ მაღრაძე

თქვენ დიდი სიხარული გვაჩუქეთ, ქალბატონო იზა!

საქმისადმი სიყვარულმა მოსწავლეები გააკვირვა. ისინი ერთი საათის განმავლობაში სულგანაბული ისმენდნენ. ამ დღეს მათ მიიღეს დიდი სულიერი საზრდო.

დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო იზა, ამ უსამაზესი და დაუვიწყარი დღისათვის, რომელიც ხიდრის საჯარო სკოლას აჩუქეთ; დიდი მადლობა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და ქალბატონ მერი გიორგიძეს ასეთი ლამაზი და შინაარსიანი შეხვედრის მხარდაჭერისათვის!

მარი ღონღაძე - ხიდრის საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი:

არის დღეები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებს მოზარდის სულსა და გულში, ერთ-ერთ ასეთ დღედ ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის შეიძლება ჩაითვალოს 15 დეკემბერი. სკოლაში იმყოფებოდა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი სპექტაკლით „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია", რომელიც ეძღვნებოდა გოდერძი ჩოხელის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ქალბატონმა იზამ მისთვის ჩვეული ოსტატობით, მიმზიდველი ქართულით თვალწინ გადაგვიშალა გოდერძი ჩოხელის მთელი სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებები, მისი ცხოვრების გზა.

მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მაღალი სულიერი კულტურით შემკულ ქალბატონს, რომელმაც სულ სხვა თვალით დაანახვა ახალგაზრდებს შესანიშნავი ქართველის ცხოვრება და შემოქმედება. იყო ცრემლები, ემოცია, აღტაცება.

მოსწავლეებისა და პედაგოგების სახელით მადლობას გიხდით, ქალბატონო იზა, იმ სიამოვნებისათვის, რაც ამ დაუვიწყარ დღეს მოგვანიჭეთ!

მარიამ ბეკოშვილი - ხიდრის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე:

„ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი მეგობარი და უერთგულესი შუამავლია მკითხველსა და მწერალს შორის" - აღნიშნავდა დიდი მწერალი ოტია იოსელიანი. ეს რომ სრული ჭეშმარიტებაა, დღევანდელმა სპექტაკლმაც დაგვარწმუნა. ქალბატონმა იზამ ისე აღწერა მწერლის განვლილი გზა, რომ არც ერთ ჩვენგანს არ დაავიწყდება. სახლში მისულმა თვალცრემლიანმა გადავხედე გოდერძი ჩოხელის მოთხრობებს: „ღმერთის შვილებს," „სწორ თეთრ ხაზს", „მართას" და ა.შ. ვეცადე, ისე გავცნობოდი, როგორც ქალბატონმა იზამ გვირჩია. ამით საყვარელი მსახიობის თხოვნაც ავასრულე და კიდევ უფრო დავუახლოვდი გოდერძი ჩოხელის წმინდა სულს.

ეს დღე ჩემი ცხოვრების დიდი საჩუქარია!

P.S. სულ მალე ახალი, 2016 წელი, შემოაბიჯებს ქართულ მიწაზე. ბედნიერებითა და შემოქმედებითი სიუხვით დაიტვირთოს თქვენთვის ეს წელი, ქალბატონო იზა, სრულიად საქართველოსა და მისი დიდი იმედის - ახალგაზრდობის - საკეთილდღეოდ!

მერი გიორგიძე

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით უბისაში ვიტალი დარასელიას სახელობის სკვერი მოეწყობა

13 დეკემბერი ვიტალი დარასელიას გარდაცვალების დღეა. ლეგენდარულმა ქართველმა ფეხბურთელმა თავისი კარიერის უდიდესი ნაწილი თბილისის „დინამოში" გაატარა. მან უეფა-ს თასების მფლობელთა თასის 1980–81 წლების გათამაშების ფინალში, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, „კარლ ცაისის" კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

1982 წლის 13 დეკემბერი ტრაგიკული აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. ვიტალი დარასელია 25 წლის ასაკში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უბისასთან მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა. ხარაგაულის მუციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ქართული ფეხბურთის ხარაგაულელი გულშემატკივრები 13 დეკმბერს ვიტალი დარასელიას გარდაცვალების ადგილზე შეიკრიბნენ. ფეხბურთელის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა უბისის ტაძრის წინამღვარმა მამა მაკარმა. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლის 13 მაისს, იმ დღეს, როცა საქართველო თბილისის „დინამოს" ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვების 35 წლისთავს იზეიმებს, სოფელ უბისაში, ვიტალი დარასელიას გარდაცვალების ადგილზე, მოეწყობა მისივე სახელობის სკვერი და დაიდგმება მემორიალური დაფა.

„ოცდაცამეტი წელი გავიდა ვიტალის გარდაცვალებიდან. მიმაჩნია, რომ ქართველმა ერმა ღირსეული პატივი უნდა მიაგოს მის სულს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ ფეხბურთში. უდიდესი სიხარული მიანიჭა ქართველ ერს იმ დიდი გამარჯვებით, რომელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ვიტალი დარასელიას პატივსაგებად ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინასებით ამ ადგილზე მისი სახელობის სკვერი მოეწყობა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ღირსეულ სპორტსმენებს გვერდით დავუდგეთ და მივცეთ შესაძლებლობა, მეტი წარმატება მოუტანონ ჩვენს ქვეყანას, ხოლო ასე ტრაგიკულად გარდაცვლილებს მივაგოთ პატივი, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რას ნიშნავდნენ ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნისთვის" - აღნიშნა შეხვედრაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა.

ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი (ფრაქცია „ ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე): „თითოეული ქართველის ვალია, ვიტალი დარასელიას სახელი არასოდეს დავივიწყოთ. სწორედ ამას ემსახურება დღევანდელი დღე. ვიტალი დარასელია ოჩამჩირეშია დაკრძალული და ქართველებს, ყველასათვის ცნობილი მიზეზის გამო, არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, მის საფლავზე ჩავიდეთ, ამიტომ ჩვენ აქედან მოვიხსენიებთ მის სულს და პატივს მივაგებთ მის ხსოვნას."

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი ვიტალი დარასელია 1957 წლის 9 ოქტომბერს ქ. ოჩამჩირეში დაიბადა. ოჩამჩირის ადგილობრივი სტადიონი სწორედ მის სახელს ატარებს. დარასელია თბილისის „დინამოში" მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა. იგი ქართული ფეხბურთის უდიდესი ტკივილია. თასების თასის 1981 წლის ფინალის გმირი მარად უკვდავი იქნება ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ხარაგაულში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე აღნიშნეს

13 დეკემბერს ხარაგაულში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე აღნიშნეს. ხარაგაულის წმინდა მოციქულის სახელობის ეკლესიაში სამეუფეო წირვა ჩატარდა. მარგვეთისა და უბისის ეპისკოსპოსმა მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე) ხარაგაულის ტაძრის წინამძღვარ მამა ანტონთან(სულთანიშვილი) და მოწვეულ სასულიერო პირებთან ერთად ხარაგაულის მრევლს ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე მიულოცა. სადღესასწაულო წირვას ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, ნოდარ ებანოიძე, გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, თემური ჩხეიძე, დავით დევდარიანი, საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მაღრაძე და ფრაქცია,,ქართული ოცნება" - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი. სასულიერო პირებმა, მრევლის თანხლებით ხარაგაულის ქუჩებში სადღესასწაულო მსვლელობა მოაწყვეს.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის „დარისპანის გასაჭირი" იქნა ნაჩვენები

10 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) მიერ ნაჩვენებ იქნა სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი". სპექტაკლს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

აღნიშნული ღონისძიება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სურვილით გაიმართა, რომელსაც ორგანიზებას კულტურის ცენტრი და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი უწევდნენ.

„თეატრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მიერ დადგმული სპექტაკლები ახალგაზრდებმა ნახონ. დიდი ხანია, სკოლებთან ვთანამშრომლობთ. სპექტაკლი „სათაგური" მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლამ ნახა. ახლა კი მოსწავლეებს „დარისპანის გასაჭირის" ნახვის სურვილი გაუჩნდათ. ახალგაზრდები ძალიან კმაყოფილები წავიდნენ და ეს ჩვენთვის ნამდვილი გამარჯვებაა. რა თქმა უნდა, განვაგრძობთ სკოლებთან მუშაობას და ურთიერთობას. სულ მალე გვექნება ასევე „თოჯინების თეატრის" პრემიერა" -აღნიშნა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ.

თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს მოსწავლეებმა.

„ყველას ძალიან მოგვეწონა სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი" -ამბობს მოლითის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ კვინიკაძე და აქვე დასძენს, რომ ,,მოხარული ვიქნები, თუ მსგავსი დღეები ხარაგაულში ხშირად გვექნება."

თამარ მაღრაძე

N2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის დღე აღინიშნა

9 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა „თვითმმართველობის დღე" აღინიშნა. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლის მართვაში. სწორედ სასკოლო ცხოვრების შესწავლის საშუალება ეძლევათ მოსწავლეებს, რომლებიც ირგებენ სკოლის მმართველების როლს. დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და მასწავლებლები, სკოლის თვითმმართველობაში წინასწარ ჩატარებული არჩევნების შედეგად შეირჩნენ. მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში ელოდებიან ამ დღეს. ყოველწლიურად კი პროცესი უფრო იხვეწება და საინტერესო სახეს იღებს. აღსანიშნავია, რომ თითოეული მოსწავლე პასუხისმგებლობით ეკიდება თავის როლს. ისინი ერთი კვირით ადრე იწყებენ მზადებას. დღის ბოლოს ტარდება პედსაბჭო, სადაც მოსწავლეები და მასწავლებლები მთელი დღის შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.

წელს დირექტორის ფუნქციის შესრულება დავით მაჭავარიანს ერგო ნილად. სასწავლო ნაწილი კი ანი აბაშიძე გახლდათ. მათი თქმით, ეს დღე მათთვის სახალისოზე მეტად საპასუხისმგებლოა. მათი მოვალეობაა, უზრუნველყონ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობა, რაც არც ისე ადვილია.

„ათი წელია ამ სკოლაში ვარ დირექტორი. დამხვდა ეს ტრადიცია და მომავალშიც გაგრძელდება. თვითმმართველობის დღეს სკოლაში ხმათა უმრავლესობით წყდება თუ ვინ იქნება დირექტორი, სასწავლო ნაწილი და ა.შ. თვითმმართველობის წევრები VIII-XII კლასელები არიან. მოსწავლეები სწავლობენ სასწავლო პროცესის მართვას. ითავსებენ ფუნქციებს, სკოლის მორიგეების, დირექტორის მოადგილეების, პედაგოგების როლს. თუ აქამდე პედაგოგობის სურვილი არ იკვეთებოდა ახლა უკვე ჩვენს სკოლაში ბევრ მომავალ პედაგოგს შეხვდებით. იმის გარდა, რომ ბავშვები თავისი თვალით, შიგნიდან ხედავენ სკოლის ცხოვრებას და თვითონ არიან ჩართულები პროცესში, უღვივდებათ უფრო მეტი ცოდნის შეძენის წყურვილი. გათავისებული აქვთ მასწავლებელთა ყოფა და თუ ამ პროფესიას გაჰყვებიან სამომავლოდ, ეს მათთვის დიდი გამოცდილება იქნება" -აღნიშნა N2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ვალერი გოგნაძემ.

ამ ტრადიციას მიესალმება და მოსწავლეებს წარმატებებს უსურვებს ქიმიის მასწავლებელი თამარ სულიაური: „ძალიან ლამაზი დღეა ჩვენი მოსწავლეებისათვის. ისინი ღონისძიებაში დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან და ძალიან სერიოზულად მუშაობენ. ეს პროცესი ბავშვებს პასუხისმგებლობისა და ურთიერთანადგომის უნარს უმაღლებს. თითოეული მოსწავლე თავის მოსწავლე-მასწავლებელს უწევს ანგარიშს და ცდილობს, თვითონაც მოვიდეს გაკვეთილზე მომზადებული, რათა ხელი შუწყოს თავის ამხანაგს, რომ გაკვეთილი შედგეს. საგნის საფუძვლიანი შესწავლის მოტივაცია იზრდება ამ დღისთვის. სწავლობენ პედაგოგის შრომის დაფასებას. ბავშვები ისე კარგად არმძევენ თავს, რომ დარწმუნებული ვარ, მომავალში პედაგოგობის გზას აირჩევენ" - გვეუბნება ქიმიის მასწავლებელი.

„ჩემი გაკვეთილი ჩავატარებინე კესო შარიქაძეს და ბარბარე ლურსმანაშვილს მათ ნამდვილად კარგად გაართვეს თავი. ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლე-მასწავლებლებს, გაითავისონ თავიანთი პედაგოგების შრომა, გახდნენ უფრო თავდაჯერებულები და უფრო მეტად განსწავლულები" -ამბობს ინგლისურის მასწავლებელი მარიკა გოლუბიანი.

XI კლასის მოსწავლე ნათია კიკნაძე, რომელმაც დღეს ქიმიის მასწავლებლის როლი შეითავსა, ძალიან კმაყოფილია შედეგით. „მასწავლებლის პროფესია ძალიან რთულია, რადგან ერთ გაკვეთილში უნდა ჩაატიო ბევრი რამ. ქიმია არ არის ადვილი საგანი, მაგრამ გაკვეთილმა ნამდვილად კარგად ჩაიარა, ბავშვები აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესში."

მარიანა ბურჯალიანი

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან დაკავშირებით „რუსთავი 2"-ზე გასული სიუჟეტს მუნიციპალიტეტის გამგებელი ეხმაურება

13 დეკემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2 -მა" საკუთარი ეთერი ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრობლემებს დაუთმო და გადაცემა ,,P.S" -ში გასულ სიუჟეტში არსებული მდგომარეობის შესახებ სრულიად საქართველოს ვრცლად მოუთხრო. ჩვენ გულწრფელად ვიზიარებთ იმ გულისტკივილს, რაც სიუჟეტში იყო ასახული. სიუჟეტის გასვლის შემდეგ სოციალურ ქსელებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრობლემების მოუგვარებლობაში ადგილობრივ თვითმმართველობას ადანაშაულებენ. მათთვის ვინც ცდილობს საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი განმარტებას აკეთებს.

,,სამართლებრივი მხრივ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია კერძო სკოლაა, რომელიც სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოს 50 წლის ვადით, უსასყიდლო უზურფრუქტით გადაეცა. კერძო სკოლას აქვს თავისი წესდება და დებულება, რომლის თანახმადაც კერძო სკოლის თითოეულ მოსწავლეს სახელმწიფო აფინანსებს ვაუჩერული დაფინანსებით - 300 ლარი წელიწადში, რომელიც ყოველთვიურად, დაგვიანების გარეშე, ერიცხება აღნიშნულ სკოლას. გიმნაზიის არსებობისათვის აუცილებელი დამატებითი თანხები საპატრიარქომ უნდა გასცეს და აქ ადგილობრივი თვითმმართველობა ვერანაირად ვერ ჩაერევა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან კერძო სკოლისთვის თანხების გამოყოფა კანონს ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ არაერთხელ გამონახა სამართლებრივი

გზა, რომ სკოლას ინსფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული დახმარებები გასწეოდა. კერძოდ: მოხდა ეზოს შემოღობვა, შეკეთდა სკოლის დერეფნები და მოწესრიგდა ერთი სასწავლო ოთახი. აღნიშნულ პრობლემაზე რომ ფიქრობს ადგილობრივი ხელისუფლება, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში სკოლის რემონტისათვის 25 ათასი ლარი არის გათვალისწინებული. რელიგიის საკითხთა სააგენტოდან მიღებულია თანხმობა სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ხარაგაულის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 25 ათასი ლარი დახარჯოს. რაც შეეხება მორალურ მხარდაჭერას, ადგილობრივი თვითმმართველობა მუდმივად ინფორმირებულია სკოლის პრობლემებთან დაკავშირებით და მაქსიმალურად ცდილობს მის მხარდაჭერას. ადგილობრივი ბიუჯეტიდან იფარება სკოლის ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადი, ასევე ხდება საშეშე მერქნის შეძენა" -აცხადებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის ინიციატივით, გიმნაზიის წარჩინებულ მოსწავლეებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ იმ წამახალისებელი პროგრამებით, რომლებიც საჯარო სკოლებშია, საჩუქრად ლეპტოპები გადაეცემათ, ან ფულადი თანხა(420 ლარი) ჯილდოს სახით. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი არაერთხელ შეხვდა სკოლის პედკოლექტივს და სკოლაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ისაუბრა. ეს პრობლემა, სამწუხაროდ, რამდენიმე წელიწადია დგას და ის დღეს არ დაწყებულა. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა ადგილობრივ თვითმმართველობას არ ხელეწიფება. ვფიქრობთ, დროა, პრობლემა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია არსებობს, დადებითად გადაწყდეს.

ეკა შავიძე

მხიარულთა და საზრიანთა ჟონჟურსის გამარჯვებული მე-3 საჯარო სკოლის გუნდი გახდა

30 ნოემბერს ხარაგაულის კინოთეატრში სამწლიანი პაუზის შემდეგ მხიარულთა და საზრიანთა კონკურსის „მან სან კანი-ს" სასკოლო ჩემპიონატი ჩატარდა. ღონისძიებას ორგანიზებას მხიარულთა და საზრიანთა კონკურსის ფედერაცია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, კულტურის ცენტრი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახური უწევდნენ. „მან სან კანი" იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ტარდება და მასში საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას. ხარაგაულში მხიარულთა და საზრიანთა კონკურსში შემდეგი გუნდები მონაწილეობდნენ: წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის გუნდი „ჭირიმე", ხარაგაულის N2 საჯარო სკოლა - „მდგომარეობიდან გამოსულები", ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის გუნდი „სიცილიუმი", N3 საჯარო სკოლის - „რკინიგზელები", ხევის საჯარო სკოლის გუნდი „wifi" და ვახანის საჯარო სკოლის - „ვახახახახანელები".

ფინალში მოასპარეზე მხიარულთა და საზრიანთა გუნდები ჟიურომ შემდეგი შემადგენლობით გამოავლინა: მხიარულთა და საზრიანთა ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილე რამაზ კილასონია, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, კულტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი დავით ჩადუნელი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის სამსახურის უფროსი მამუკა ჭიპაშვილი, კულტურის ცენტრის სპეციალისტი გიორგი ჭიპაშვილი, ტურიზმის სამსახურის სპეციალისტი და მოქმედი „მან სან კანელი" ბექა ხიჯაკაძე. „მან სან კანის" მონაწილეებს სამი დავალების შესრულება უწევდათ: მისალმება, კითხვა-პასუხი და ბიატლონი. ჟიური მათ 5 ბალიანი სისტემით აფასებდა, თუმცა შეფასების კრიტერიუმი ყველა დავალებას განსხვავებული ჰქონდა. „მან სან კანის" პირველი შეხვედრის გამარჯვებული ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის გუნდი „სიცილიუმი" (45 ქულა) და წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის გუნდი „ჭირიმე" (44 ქულა) გახდნენ. რაც შეეხება მეორე მეოთხედფინალურ შეხვედრას გამარჯვება №3 საჯარო სკოლის გუნდმა „რკინიგზელებმა" (41 ქულა) და ხევის საჯარო სკოლის გუნდმა „wifi" (36 ქულა) მოიპოვეს. ხევის სკოლის მსგავსად 36 ქულა ჰქონდა ვახანის სკოლის გუნდს „ვახახახახანელებს". ჟიურის გადაწყვეტილებით გუნდებს ჩაუტარდათ დამატებითი კითხვა-პასუხის კონკურსი, რომელზეც კითხვებს თავად ჟიურის წევრები სვამდნენ. ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე გამარჯვებული ხევის სკოლა გახდა.

16 დეკემბერს „მან-სან-კანის" ფინალური შეხვედრა გაიმართა. სასკოლო ჩემპიონატში ერთმანეთს ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სასულიერო გიმნაზია, დაბის N3 და ხევის საჯარო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ. ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული N3 საჯარო სკოლის გუნდი „რკინიგზელები" გახდა. მეორე ადგილზე გავიდა წმდა ანდრია პირველწოდებულის სასულიერო გიმნაზიის გუნდი „ჭირიმე," ხოლო მესამე ადგილი ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის გუნდმა „სიცილიუმმა" მოიპოვა.

ჟიურის ნომინაცია – „საუკეთესო მოთამაშე გოგო" სასულიერო გიმნაზიის გუნდის წარმომადგენელს, ნინო ჭიპაშვილს, ხოლო ნომინაცია – „საუკეთესო ბიჭი" გუნდ „რკინიგზელების" მოთამაშეს, საბა ცხოვრებაძეს გადაეცა.

დასახელებული საუკეთესო მოთამაშეებისაგან შემდგარი ხარაგაულის ნაკრები გუნდი მონაწილეობას ქუთაისში გამართულ იმერეთის სუპერ ფინალში მიიღებს, რომელიც მესხიშვილის თეატრში გაიმართება.

სასკოლო ჩემპიონატის დასასრულს მხიარულთა და საზრიანთა ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილე რამაზ კილასონიამ აღნიშნა: „თამაშს იმერეთის რეგიონის მასშტაბით ვატარებთ. ამჟამად კონკურსები 4 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, მათ შორის, ერთ–ერთი ხარაგაულია. მინდა, გამარჯვებულ გუნდს მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. ვფიქრობ, ხარაგაულში ეს კონკურსი პოპულარული გახდება, რადგან ბავშვების მონდომება დიდია და საამისო პოტენციალიც აქვთ. ბევრი რაიონისგან გამოირჩევიან ეს ბავშვები და, ვიმედოვნებ, ქუთაისში გამართულ იმერეთის სუპერ ფინალზე, რომელიც მესხიშვილის თეატრში გაიმართება, ხარაგაული ძლიერ ნაკრებს ჩამოიყვანს."

თამარ მაღრაძე

განცხადება

ა(ა)იპ ,,ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება" აცხადებს ღია კარის დღეს პოტენციურ მიმწოდებლებთან შესახვედრად - 2016 წლისათვის დაგეგმილ ტენდერებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ ინდმეწარმეებს გთხოვთ მობრძანდეთ ამა წლის 21 დეკემბერს 12 საათზე.

მისამართი: სოლომონ მეფის ქუჩა N1

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12